

# ნიშადური




№ 9.

ეოველკვირული ჟურნალი

1907 წ.


სახელმწიფო საბჭოს ამრჩევლები საქართველოდან.



თავ. დ. ზ. მელიქოვი



თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვი.



თავ. ვ. ს. მიქელაძე.

ამ ცოტა ხანში გამოვა „ნიშადურის“ სალიტერატურო კრებული.

ილია ჭავჭავაძის სსოვნას.

\* \*


(მიბაძვა... ი... ჯ...).

ტყეს სცივდება ფოთოლი,  
არ ხმაურობს მთა ველი,

ალარა გვყავს ილია...  
გლოვობს ყველა ქართველი!

გლოვობს ყველა... მხოლოდ იქ  
განცხრომა აქვთ მტარვალბეს!  
ქართველნო, დაჩაგრულნო,  
როდის გაახელთ თვალებს?!.





გარდაცვალებილამ 40 დღის წირვის გამო.

უკანასკნელი სურათი ილია ჭავჭავაძისა.

\*  
\* \*

მოგვკვდ და ვერ ბამოეცალო კაპარტი!  
ვერ გავემირო, ვერ გავთელო. ვერ დავამ-  
ხო ტალახში  
ეს, კანონის შემთითხნელი, ჯალათნი!.

ანდრე შენიე.

აღსრულდა! მოჰკლეს ჩენი მგოსანი,  
ჩენი მხცოვანი მამა—ილია.  
მოჰკლეს... პოეტის უმანკო სისხლით  
სამშობლო მიწა შეღებილია.

მადლით მოსილი, ბრწყინვალე შუბლი  
მას გაუხვრიტეს ცხელის ტყვიითა  
და გაუგმირეს მხურვალე გული,  
სავსე ციურის ჰარმონიითა.

წითლათ შეჰღებეს მგოსნის ქალარა,  
სისხლით გაუესეს ნაკურთხი ჩანგი  
და უმოწყალოთ შეაწყვეტინეს  
დამატკობელი, ღვთიური ჰანგი.

ვითა ირემი, ლალის მთის შვილი,  
ასე წარმტაცად მისგან მკობილი,  
მშობელ ბუნების წიაღსა შინა,  
სულს ლეეს პოეტი, აზრთა მპყრობელი.

ოჰ, ჩავსვენე, საქართველოს მშვევ,  
პირი გვარიდე ბადრო მთვარეო!  
ნულარ გეებრწყინავე, გაჰქრი ღრუბლებში,  
ცისკრის ვარსკვლავო, მოელვარეო.  
სამშოლო მხარევე, აბა რა რიგად



მისი ბრალია?

(ვიქტორ ჰუგოს ლექსი). **ეროვნული**  
ილია ჭავჭავაძის მისხსენებელთა **კომისიის**

მოვისამძიმრო და გცე ნუგეში?  
შეურაცხყოფილ—აოხრებულთა,  
თვითონ დასცურავ სისხლის ვუბეში.  
საუკუნობით გარეშე მტერმა  
შენზედ სასტიკათ გაიმავა, და  
შენთვის მებრძოლ, დახოცილ შვილებს,  
ლღეს მიემატა კიდევ მამაცა.

სისხლისგან დაცილილს, გამოგეცალა  
უკანასკნელი ბაირალტარი,  
და ყვავ-ყორანთა საბუღრად გახდა  
შეგინებული, წმინდა საყდარი!

თქვენ მამის მკვლელო, ცოდვის შვილებო,  
რა პასუხს გასცემთ შთამომავლობას!  
რას ეტყვიტ ერსა, მთელსა ქვეყანას  
და რას მიუზღავთ თქვენს შავს ძალობას?

თქვენ, სისხლის მსმელნო, მგონის ჯალათნო,  
ამაოდ ჰმალავთ მახინჯ სახესა,  
ნუ თუ გგონიათ, რომ ვერ მივხვდებით,  
თუ ვინ უგებდა პოეტს მახესა!

ვერ აიტანეთ თქვენ მგონის მიერ  
მიმოფანტული უხვათ სხივები,  
თქვენს ყურს ხვდებოდა ლახვარივითა  
მის ღვთაებრივი ქნარის სიმები.

თქვენს მდაბალ გრძნობას, გაპირუტყვებულს,  
პოეზია არ ეკარებოდა,  
კუქს ანაცვალეთ თქვენ ყველაფერი,  
რითაც-კი სული ამალდებოდა.

და სულმდაბალნო, აი, ნაყოფიც  
თქვენის ველურის მოქმედებისა:  
მოჰკლეს... არა, თქვენ თვითონ მოჰკალით  
ქურუმი მაღალ ხელოვნებისა!

ხომ ჰხედავთ გასჭრა თქვენმა სისინმა,  
ბრბო უგუნური აიყოლიეთ,  
და ქეშმარიტი მქადაგებელი  
დააწყველინეთ, ჩააქოღვიეთ.

მოშორდით ქართველის სულიერს განძსა,  
მის პოეზიას, ხელოვნებასა;  
მხეცნო, მხეცურად ტყეში იცხოვრეთ  
და ნუ ერევით კაცთა კრებასა!

„ქართველის დედაო“, ძუძუს ქართველისას  
ნულარ აწოვებ მაგ უღირს შვილთა,  
განდევნე შობობლურ წილიდანა,  
ნუ გააგონებ „ნანინათ“ ტკბილთა!

წყეულიმც იყოს მათი სახელი,  
სამარადისოდ შეჩვენებული,  
წყეულიმც იყოს მათი სიმუხთლე,  
სამშობლოს სამტროდ განმზადებული!

შენ-კი უკვდავ ხარ, ჩვენო სულ-მნათო,  
შემამკობლო ქვეყნის და ცისა!  
კურთხეულ იყოს უკუნისამდე  
ხსოვნა ილია ჭავჭავაძისა!..

— შენ დაწვი წიგნთსაცავი? \*)  
— დიახ, მე მოუკიდე ცეცხლი.  
— ეგ ხომ ცოდვაა არ გაგონილი! ცოდვა

შენს წინაშე, შენგანვე ჩადენილი, შე თავლაფიანო!  
შენის ხელით წარხოცე შენივე სულის მანათობე-  
ლი! გააქერ შენივე ლამპარი! რაც შენმა უსჯუ-  
ლომ და უგუნურმა ბრახმა დაგაწვევინა, ის შენი  
ქონება იყო, შენი საუნჯე, შენი ნიჭი, შენი სამ-  
კვიდრო!

წიგნი, ბატონის მოძულე, შენი მოყვარვა,  
წიგნი ყოველთვის შენ გესარჩლება. წიგნთსაცავი  
ღვაწლია ბნელით მოცულთა ტომთა, რომელნიც  
ღამე მოწმობენ განთიადს.

რაო? იმ ქეშმარიტების სათაყვანო გროვას,  
იმ სამაგალითო თხზულებებს, ელვითა და ნათლით  
მოსილს, იმ ჟამთა აკლდამას, საქმეთა ნუსხად  
ქცეულსა, საუკუნოებს, ძველ დროის კაცებს, ის-  
ტორიას, წარსულს, რომელსაც მომავალი გაკვე-  
თილსავით ჩათვლით კითხულობს, იმას, რაც დაიწ-  
ყო, რომ არასდროს არ დასრულებულიყო, პოეტებს!  
რაო? იმ უთვალავ ბიბლიებს, იმ წმინდა გროვას  
საშენელთა ესხილოსთა, ჰომეროსთა, იობთა, ცის  
კიდევ წარმოდგომილთა, მილიერის, ვოლტერის,  
კანტის გონებას,—შენ, საცოდავო, მუგუზხალს  
უკეთებ?! მთელის კაცობრიობის სიბრძნეს კომლად  
აქცევ?

დაგავიწყდა, რომ შენი მათავისუფლებელი  
წიგნია? წიგნი იქ არის, მაღლა, და ბრწყინავს.  
და რადგან შუქს აყენებს, წიგნი ამხობს სახრჩო-  
ბელას, ომსა, სიმშოლსა. წიგნი მეტყველობს, და  
აღარაა არც მონა, არცა ყმა.

გახსენ წიგნი: პლატონი, მილტონი, ბეკარი.  
გადაიკითხე ეს წინასწარმეტყველნი: დანტე, შექს-  
პირი, კორნელი; ის უზომო სული, მათ რომ უდგათ,  
შენს მკერდშიაც გაიღვიძებს, მათგან მოხიბლული,  
შენს თავს მათს სწორად იგრძნობ; მათი კითხვა  
მოგვერის ფიქრსა, სიმშვიდეს, მოკრძალებას.

შენს გონებაში ის დიდნი კაცნი გაიხდებიან  
და გაგანათლებენ, ვით ცისკარი ანათებს მონას-  
ტერს. რაც უფრო ღრმად ჩასწვდება შენს გულს  
მათი თბილი სხივი, მით უფრო დაგამშვიდებს და  
გაცხოველებს. შენი სული მათს სულს ესაუბრება,  
შენს თავსა სცნობ კეთილად, მერე უკეთესად;  
ჰგრძნობ, ვით ღნება, თითქო ცეცხლთან თოვლი,

\*) პარიკის ქალაქის საბჭოს წიგნთსაცავი, კომუნის  
დროს (1871 წ.) გადამწვარი.

შენი თავ-მომწონობა, სიძულვილი, სიაცე, ცრუ-მორწმუნება, მეფენი და იმპერატორნი! რადგან კაცი ჯერ ცოდნას იძენს ლე შემდეგ თავისუფლებას.


ეგოდენი სინათლე, გაიგე, შენია, და შენვე აქრობ?! შენს სულის სწრაფვას მიაღწევ წიგნის მე-ოხებით. წიგნი ეუფლება შენს გონებას და მოჰხსნის ქეშმარიტებას, ცდომისაგან შეყრილს, ბორკილსა, რადგან ყველა კაცის შეგნება კვანძია დახლართული. წიგნია შენი მკურნალი, შენი ყოლაუზი, შენი მცველი. ის გარჩენს ღვარძლისაგან, ის გაშორებს სიგიჟეს.

აი, რასა ჰკარგავ, ზბედურო, შენისავე მიზე-ზით. წიგნი შენი სიმდიდრეა! წიგნი ცოდნაა, სი-მართლე, ქეშმარიტება, ქველობა, მოვალეობა, წარმატება; სიბრძნეა განმაბნეველი ყოვლისა უგუ-ნურობისა. და შენ ანადგურებ მაგას, შენა?!

— შე კითხვა არ ვიცი.

ალ. სარაჯიშვილის ნათარგმნი.

ქართველი მწარლები და მოღვაწენი.



თედო სახოკია. სექტემბრის დამლევის, ქალაქ სო-ხუმში, გაიჩნა თედო სახოკიას და სხვათა საქმე, რომელთაც ბრალდებოდნათ მთავრობის საწინააღმდეგოდ იარაღის შემო-ტანა საზღვარ გარეთიდან. თედო სახოკიას მიუსაჯეს სამუ-დამოდ ციხეში გადსახლება. ვეკილებს საქმე სენატში გადააქვთ.

თედო სახოკია თორმეტი წელიწადია, რაც ქართულ მწერლობაში მუშაობს; ბუნებით ცაცხალი და მოძრავი ად-მიანი ახლო მონაწილეობას ღებულობდა ყოველ ქარ-თულ საქმეში. რამდენჯერმე იყო საზღვარ გარედ, განსაკუთ-რებით შვეიცარიაში, საფრანგეთში და იტალიაში, სადაც მწერლობისა და ლიტერატურის ისტორიას სწავლობდა.

ეს უკანასკნელი ორი წელიწადი სოხუმის ქალაქის გამკეობის მდინედ იყო არჩეული. თვითონაც სოხუმელია

და ბეჯითათ მუშაობდა ქალაქის აწეწილ-დაწეწილ საქმე-ების მოსაწესრიგებლად. სახოკია ჯერ სწავლიდა უნივერსიტეტში, გაზდა კაცია, იმედებით, შრომის უნარით და უფიქროსი ვილებით აღსავსე. ამ ჟამად, ჩვენდა დამოუკიდებელ მიზე-ზების გამო, მეტს ვერას ვაშობთ. ეს კია, რომ თედო სახო-კიას, ყოველ, ეჭვს გარეშე თავისი მაღლიანი წვლილი აქვს შეტანილი ქართველთა საერთო გამოფხიზლებისა და მოძ-რაობის ხანაში.

ნ ა ლ ს ო ნ ი ღ ა ნ .

იომინე... თუგინდ თვალის ჩინიც დაგეწვას | ცრემლით?

შენ არ დაუწყო ხალხისაგან შებრალების ცდას! მას არ შესწივლო შენი ტანჯვა, შენი წვალება, ერთმა ებრძოლე გზა უკულმართ შენს ცხოვრების | ჩარხს.

ა.—

კ ე ნ ზ ი ს შ რ ა .

ამას წინად ერთ კრებას დავესწარი, სადაც განსახილველი საგანი, მოვისმინოთ თუ არა მო-წინააღმდეგ დასის ორატორია, საჩქარო კენჭის ყრით გადაწყდა. აშკარათ ეტყობოდნათ ამ კენჭის ყრის ზოგიერთ ცხარე მოსურნეთ, რომ იმათ თვით საგნის განხილვა, წინააღმდეგი მიმართულების კრი-ტიკული შეგნება არ აინტერესებდა, არამედ მხო-ლოდ ერთი რამ სურდათ—უთუოდ თავისი გაეტა-ნათ. ამ ვაჟბატონებმა მოთქმებისა და აზრთა გა-ზიარებისათვის საჭირო დრო არ მისცეს დამსწრეთ: მაგარი, და მკვახე ხმით იმოქმედეს მათზე, თვალების მკაცრი სხივი მოპირდაპირეთ კოჭებში გაუტარეს და სწრაფის და უგუნურის იერიშით დაამარცხეს; ერთი სიტყვით—სახელ-განთქმულ სარდლის—სუგო-როვის პრინციპით ისარგებლეს: „глазомърь, быст-рота и натискъ!“ მტრის დასაპარცხებლად მხო-ლოდ მკვეთრი თვალი და სწრაფი იერიშია საჭირო.

მშრალი კენჭის ტრფიალი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ადამიანის უმადლეს ნიქს, იმის გონე-ბას, სრულებით არ აინტერესებს, თუ რამდენად შეიგნო ადამიანმა ესა თუ ის აზრი, რანაირად ასწონ-დასწონა და გაზომ-გამოზომა ახლად წამო-ყენებული საკითხი. იმას ადამიანის დარდიც არა აქვს: მხოლოდ იმისი კენჭი უნდა, რადგან იმის თვალში მკვდარი კენჭი ცოცხალ ადამიანზე უფრო თასობს, მეთაურის ბრძანებლობის მაჩვენებელია.

მართლაც, რაში ეჭირვება, რად უნდა კენჭის ტრფიალს თვით ადამიანი და იმისი გონება? გო-ნება ხომ ისეთი მანქანაა, რომელიც ერთი თუ ამოდრავდა, ვერ გააჩერებ. იგი იქით-აქიდან, ყო-ველ მხრიდან შეუღებება საგნის განხილვა-შემუშა-ვებას, ღინჯათ დაუფიქრდება ყალბსა და ნამდვილს,

მტყუნასა და მართალს და ეცდება, ჭეშმარიტების გამოსარკვევად, დამოუკიდებელ ნიადაგზე დადგეს.

კენჭის ტრფიალნი კი ჭეშმარიტების მტრები არიან, და ამიტომ ყოველთვის გაფაციცებით სკდილობენ დააჩქარონ კენჭის ყრა, რათა დამსწრეთა გონება არ ამოძრავდეს და მეთაურების ფუქსავატობა არ აღმოაჩინოს. კენჭი—მკვდარი ნივთიერებაა, ხოლო გონება-გაღვიძებული ადამიანი ცოცხალი სულდგმულია. კენჭის ტრფიალთ კი მკვდრებისა არ ეშინიანთ, ცოტა ცოცხალი ადამიანი კი საშიშია მათთვის. ამიტომაც ისინი ყოველ ღონეს ღონობენ, ყოველნაირათ სკდილობენ თვითიული განსახილველი საგანი სათავეშივე ჩაკლან, კენჭებით ჩაჭკოლონ, რათა გაღვიძებულ გონებას გასაქანი არ მისცენ, შემდეგ ეს სანატრელი კენჭები დაითვალონ და ზედ თავის გამარჯვების დროშა ააფრიალონ.

კენჭით, და არა აზრით, გამარჯვებული ადამიანი სულ კენჭებზე ფიქრობს, რასაკვირელია: იმისი გონების შინაარსი კენჭია და სხვა არაფერი. თუ გინდათ, თქვენ თვითონ სცადეთ და დარწმუნდებით, რომ ნამდვილ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ: დროებით ხელში ჩაიგდეთ და მაგრა შეანჯღრიეთ ვინმე კენჭის მოტრფიალე მეთაური ვაჟბატონის თავი. მაშინ ნამდვილათ დარწმუნდებით, რომ თქვენს ხელში, ადამიანის თავის მაგიერ, ცარიელი გოგრაა, სადაც მხოლოდ კენჭების მშრალი ჩხარაჩხური ისმის.

ვთქვათ, მეკენჭე ვაჟბატონები კენჭებსა და ბატონობას იგებენ. ახლა იმაზე ვფიქროთ, თუ რას იგებენ ისინი, რომელნიც იმათ ამ კენჭებს აძლევენ. ჩემის აზრით, ისინი არაფერს არ იგებენ; პირიქით, ყველაფერს აგებენ: ესე იგი—ადამიანის სიცოცხლის უპირველეს შნოსა და ღირსებას—თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ის კაცი, რომელიც კენჭების ჩამოტარებაზე თანხმდება, სანამ თვით საგანი გონივრულათ განხილული არ არის, თავისივე ხელით თვალს იბრმავეებს და ამ სიბრმავის ნიშანს, სიმბოლოს, უსინათლო კენჭს—თავის გამძლოლთ მეთაურს უდებს ხელში. იმას იმდენი მხნეობა არა აქვს, რომ წინააღმდეგს კენჭების შემკრებს, არ შეუძლია ცხარე პროტესტი გამოუცხადოს, ნათლათ ხელდას, რომ ამ საქმეში მხოლოდ უმცირესობა ემბრობა, ლაჩრულათ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, უმრავლესობისა ეშინიან და ამ უმრავლესობის უგუნურებას ეჩაგვრინება: იგი კენჭს აძლევს იმ აზრს, გადაწყვეტილებას, რომელსაც გულის სიდრმეში არ თანაუგრძობს, შემდეგ კი იძულებულია ამ თავის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას დაემორჩილოს და თავისი მრწამსი, თავისი სულის წმინდათა—წმინდა უარპყოს. ასეთი ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში უმრავლესობის ზედნადები, კენჭის უბრალო მაჩანჩალაა და სხვა არაფერი.

ყოველი უგუნური გადაწყვეტილება, რომელსაც ეს კენჭის მაჩანჩალა ემბრობა, ბოლოს და ბოლოს, მას დაატყდება თავს: გონებას უბნობს იმის ტვინს გასაქანს არ აძლევს, ერთ წერტილზე აჩერებს და პრაქტიკულათაც—ცხოვრებაში ამ თავის ნათეს, უგუნურობის ნაყოფს მოამკვენიებს. ეს ემართება ყველა კენჭოსანს, მეთაურების ბრმა მორჩილთ, რომელნიც ყოველ მხრივ წაგებულნი რჩებიან ცხოვრებაში და მოგვაგონებენ იმ ქალაქის საბჭოს, რომელიც ქალაქის თავს ბრმათ დაემორჩილა, იმის სასარგებლოდ და უგუნურათ გადაწყვეტა საქე, რის გამო, საიდანაც ჯერ არს, ცხარე გაიკიხვა მიილო, და როცა ამის გამო საგონებელს ჩავარდა, ერთის ბრძენის ადამიანისაგან შემდეგი ნუგეშის სიტყვები მოისმინა: „ბრმად რად დაემორჩილეთ ქალაქის თავის უგუნურებას? ნუ თუ წინდაწინ არ იცოდით ჭეშმარიტება: როცა თავი რაიმე სისულელეს ჩაიდენს, წკვლები უ—ს მოხვდებაო.

მეც ვაფრთხილებ ყველას, მოერიდონ თავის ბელადების ბრმა მორჩილებას, რათა ამ მეთაურების მიერ ჩადენილ სისულელისათვის, ბედის წერის განკარგულებით, წკვლები არ მოხვდეთ.

ი. ნაკაშიძე.

ეხლანდელ ყრმათა შორის.



**გოგო:** ამა, მოვედი, მოთხარ რა გინდა? რისთვის შექსდი, ჩემო გვრიტიკო? მოგვასწრებს დედა და ვაი ჩენ ტყავს, მაიბეგვება შენი ღიზიკო.  
**ბიჭი:** ისე... რა ვიცი... მინდოდა შეთქვა... რამ... ეს! მცხვენიან... მამ სვალე გეტყვი!.. მხდლათ ერთსა ვთხავ, შენ გენაცვადე, დედა თუ შეგხვდეს, ნურაფერს ეტყვი!..

### მეტიხის ცინიდან

(გუძღვნი ნინა იორდანიშვილს)

იქნებ იკითხოთ: რატომ სჩადიან აქ კაცის კვლასა და საზიზღრობას? ადამიანი რამ გაამხეცა, რა აიძულებს ამ უწყალობას?!

— კაცი კაცური, ადამიანი მუდამ ერთს საგანს ემსახურება: ძმობას, ერთობას, თანასწორობას, თავისუფლებას ელამუნება! სიტყვის უფლება, ხელუხლებლობა კაცს იდეალად დაუსახია, რაც კაცსა სტანჯავს და ძალმომრეობს იგი თავის მტრად დაუნახია!.. სწორედ ამისთვის სდევნიან ყველას, მართლის ძიება აკრძალულია, თავისუფლების ყოფილს ტაძარში, კაცის უფლება დამარხულია. ვერ ითმენს ამას სული და ხორცი, შეუბოვარი აზრი მრისხანებს! ჭიაც, უზომოდ შეწუხებული, უეჭველია, სხვას, ან თავს აენებს!..

### კ. გულიაშვილი.

აგვისტო, 1907 წ.

### გარშემო-კი წყვილია, სიბნელე საშიში...

შავი კედლები ჩემებრ დაღვრემილან... გულ-დაწყვეტილი ვუცქერთ ერთმანეთს... სანთელი საცოდრათ ციმციმებს...

გარშემო კი წყვილია, სიბნელე საშიში...

იქ, ოთახის ბნელ, ნესტიან კუთხეში, ვიღაც კვნესს ღარბულ ლოგინში... მისი კვნესა-ღა არღვევს სამარისებურ სიჩუმეს... ის დედაა, ჩემი დვიძლი დედა... დიდი ხანია, რაც სიკვდილს ებრძვის, სენით შეპყრობილი... სანთელი საცოდრათ ციმციმებს, დედის გულადან გულის გამგვირავი კვნესა ამოდის...

გარშემო კი წყვილია, სიბნელე საშიში...

აქ მამას სძინავს, დაღლილს, დაქანცულს... ისვენებს შრომის შვილი, მაშვრალი მაჯა... ძალას იკრებს, დღე-ღამე მშრომელი, დღიდან არსებობისა... სანთელი საცოდრათ ციმციმებს... დედა კვნესს... მამას სძინავს...

გარშემო კი წყვილია, სიბნელე საშიში...

მე კი—უოვისტომო, მბჟუტავ სანთელს შეეყურებ... სული ობლობას გრძნობს... არსაიდან იმედის ნასახი... აწმყო უნუგეშო... წარსული უდროვოთ მოწამლული... მომავალი?.. მომავლი!.. ვინ იკის? ვინ იკის?.. სანთელი ციმციმებს, დედა კვნესს, მამას სძინავს...

გარშემო კი წყვილია, სიბნელე საშიში...

გულ-დასერილი შეეყურებ ბნელ კედლებს, ცხოვრების გერთა საგანს... გული მეკედება სანთელი ციმციმებს, დედა კვნესს, მამას სძინავს გარშემო კი წყვილია, სიბნელე საშიში... როდემდის?.. როდემდის?..

### ვ. მალაქიაშვილი.

### ტუსალის მოთქმა.

მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს, მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები!.. მალე გავარღვევ საკანთა კედლებს, თავისუფლებას მივეგებები!..

და თუნდ, მტარვალნო, მაწამოთ ისე, ვითა იესო ნაზარეტელი, არ ვულალატებ მაინც ჩემს საგანს, ჩემის მოძღვრების გაგზდები მცველი.

თუნდაც ჯალათმა, შხამ-გესლიანმა, თვის სისხლიანი ჩამჭიდოს ხელი, მაინც თამამათ, მედგრათ შევსძახებ: „სიკვდილი მტარვალთ“! — „ძირს სისხლის | მსმელი“!..

თუმც ციხეში ვარ გამომწყვდეული, საკანი არის აწ ჩემი ბინა— სცდებით, მტარვალნო, — ტყუილათ ფიქრობთ, რომ ჩემმა გრძნობამ აქ ჩაიძინა.

ვგმობ და უარყყოფ თქვენს ძველს ადათსა, ფეხქვეშ გავთელე მე ძველი წესი... — განა არ იცით, რაც რომ დასთესა, მასვე მოიმკის მუდამ დამთესი?!..

აწ კი დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს, მტარვალთა ხროვავ, არ შევშინდები!.. მალე გავარღვევ ბნელეთის კედლებს, თავისუფლებას მივეგებები!..

### ი. გრიშაშვილი.

ს ც ე ნ ე ბ ი ს ც ე ნ ი ს ა თ ვ ი ს .

### III

### კ რ ე ბ ა ზ ე მ .

მაისის დღეა, კნ. სალომე, კარგს გუნებაზეა და აღხეინად ჩაზუზუნებულა აივანზე, კრესლოში, ათამაშებს კრიალოსანს და მომცინარე თვალით უყურებს კარჩხალის მთებს. ხშირად, სიზმარსავით წარმოუდგება თვალ-წინ სურათი, როცა სამოცი, სამოცდა-ათი გურული ბიჭი წინ ედგა და წკრიალა კრიმანჭულით ატკობდა მის ყურთა სმენას, ან კიდევ ჯირითი... დედავ, ღმერთო, რა იყო მაშინდელი დრო, ეხლა, ეხლა не знаю просто, რამ გა-

დარია ჩვენი ახალგაზდობა, СВОБОДУ ЗАХОТЪЛИ, აი დედა, სად არის ესე გურიელი, რომ „ბახმარა“ აქეთ დაგჩეთ... გაქირდა, ღმერთმანი ცხოვრება...

ბიჭო, შერმანდიავ?! დამიძახე მოურავს... აი-ვანზე ამოგორდა, გაშვი—გადახტი—შლაქი ყაძახი —ეს გახლდათ მოურავი გამყრელიძე...

— კნ. მიცოცხლოს ღმერთმა... გისურვებ რომ აი მოიწიო დრო კრიმაჭულით გადაგატანიოს.

— რა იყო, ონისიმე?..

— რავა რა იყო კნენა, მეგრელებმა ნამწყესური არ მოგვცა, ნაყანური—აღარ არის, ღვინო—დეილია, სიმინდი—მეილია და შიმშილი კარზე გვადგია. რა გვეშველება, კნენა?!!

— როგორ თუ რა გვეშველება... ШКУРУ СНИ-МУ!.. შენ ეს მითხარი, იმ კრებაზე რა სთქვეს „წითელ მთას“?

— ნულარ გამახსენებ კნ. აბა იქინე მოეყარა თავი მთელ ღუნია—მელექეთს... მერე ჩამოსულიყვენ ქუთისიდან და თბილისიდან... ეირჩივს კრების თავი... ჩამოსწერეს რიგ-რიგი... ეს ფედერალისტიო, ეს სოციალ-დემოკრატიო, ეს რევოლიუციონერიო, ეს ანარქისტიო... აი დასწყევლოს ღმერთმა, რამდენი უსაქმო კაცია ამ ღუნიაში...

დოუდგეს სტოლი. ევიდა ენა მოტანტალე ყაზირალი, დეიწყო მარა რა დეიწყო, მოჰყვა კნ. ცის, ბრის და ერუსალიმის: ჩვენ ვიზამთ—რასაც ვიზამთო, ჩვენზე წინ არავინ მოქმედებდაო, ჩვენ შეეკმნით სოციალიზმისაო, შევავრთებთ ცას და ბარსაო, მოველინება ქვეყანასა ამას მშვიდობაო და ყველანი გავხდებით ნამდვილი დემოკრატებიო ე. ი. ღარიბ—ღატაკებიო... შეიქნა ტაშის ცემა, ვაშას ძახილი...

— ევიდა მეორე, აბურდლულდა, მოჰყვა წილადობილას, ააწყო მარა რა ააწყო, იმ ოჯახ დაქცეულმა, მე ვარ თოფ-იარაღის მომხრეო, ესლა ჯოხით არაფერი არ გაკეთდებაო, რას მიქვია თავად-აზნაურობაო, ასე წამოიძახა... დაუკრეს ტაში... აძიგინდა ყველაფერი...

— ევიდა მესამე... თქვენ რომ სურათი გაქვს კნ. ტოლსტოის, ისე იყო ჩაკმული, ცოტა წვერი ქონდა მოკლე... მერე რა სთქვა იმ სულ წაწყმენდილმა: მე ვარ სული წმინდაო, ფუი! ეშმაკს—დიდება აქაურობას, მე თქვენ ჩემი ჯანი შემოგწირეთო, დავბერდი საპყრობილეშიო, თქვენ გემსახურებითო—აღარ მიწამებთო... ერთად ერთი მხსნელი, მიწის მომცემი, ჩვენა ვართო და გაათავა... სდრიკვს, მიაყარეს და მიაყარეს ვაშა!!!

— ევიდა კიდო უღვაშ-გაცქეტიებული, ნაყავილევი ბიჭი, რიხიანი ხმით ჩამორეკა: ძირს სუყველაფერიო, არ იწამოთ არაფერიო, გაუმარჯოს არევ-დარევისო—შექნეს ყვირილი: გაუმარ-

ჯოს, გაუმოჯოსო!.. ამასობაში ვილაქამ წამოიძახა: არიქა თავს უშველეთ, ყაძახები მოდისო! შეიქნა ერთი ვაი უშველებელი, იგრილა ამსტენა სალონა, წააწყდა: ქალი—კაცს, კაცი - ბავშვს, ბავშვი—ტარას, გააბეს ყვირილი, ზოგი სად მირბის და ზოგი სად... ვინ წინ და ვინ უკან...

მე კი ჩემი ჯორით ჩოქ, ჩოქ, ჩოქ და გიახელით შინა!..

— მერე შენ! შენ რას იტყვი, მოურავო?!!

— მე! მე კნენა თქვენი ძველი... გამყრელიძე გახლავარ?!!

ვასო ურუშაძე.

ნიშაღუნი ინგილოსი.)\*

ჩონის კუთხის, ჩონის ქოყნის, ცხო მისი დარი სად არის; მდიდარი, ტურფა, კეკლუცი, ყოვლით შემკული ის არის.

ბრინჯი, ქერი და ხორბალი, ყოლფერი კარგი კეთდების, ღვინოს, ჰეჩ, ნულარ ახსენებთ, ის მუდამ უხვი გვექნების.

მღვდლის „დრამით“ თავს არ შევიტყენთ, არც გვაწიოკებს ბატონი, სამხედრო ბეგრებს არ ვიხდით და ვცხოვრობთ, როგორც ბატონი.

სწავლა და ცოდნა რათ გვიდა, უხვად გვაქვს სახლში ყოლფერი, იმან ისწავლოს, ვისაც რომ სახლში არ აქვს არაფერი

ამბობენ საქართველოში, ხალხი მთავრობას ებრძვისო, ვერ გაგვიგია, ისინი თავსა იტყებენ რისთვისო.

ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენთვის მშვიდათა, ძილსა არვინ არ გვიფრთხილბოსო, და კვალად ვამბობთ: ჩონ ქოყნის ბადალი არსად არისო.

ზ. ედილო.

ვის უნდა დაუღვათ ძიგლი?

ქსნის ხეობის დიდებულმა ზ. გ. ერისთავმა ამ დღეებში დაამშვენა ლისტოკი თავისი საუცხოვო წერილდთ ილია ქავჭავაძის სიკვდილის გამო. მან ბრძანა: ძველი ახლად გარდაცვალებულს დიდს მგოსანს კი არ უნდა დაეუღვათ, რომელმაც

\*) კილო და ზოგიერთი გამოთქმა ინგილოურია.

ხალხისთვის არაფერი გააკეთაო, არამედ შოთა რუსთაველსაო.

ჩინებული აზრია, მაგრამ მე კიდევ უფრო უჩინებულესს რასმე ვიტყვი. ჩემის აზრით, ძეგლი, თუ სადმე სამართალია, ეკუთვნის თვით ქსნის დიდებულს. იქნება მან ქართული კითხვა რიგიანთაც არ იცოდეს და უცნობი იყოს მისი, როგორც ჭავჭავაძე, ისე რუსთაველი; იქნება მას არც ერთს საზოგადო საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიეღოს. იქნება მის კალამს **ლისტოკის გარდა** არაფერი ეხილოს; მაგრამ, სამაგიეროდ, მან ჩაიდინა ერთი მეტად დიდებული, რამ, რომელიც მას უზენაესის უკვდავების ღირსად ჰხდის.

რამდენიმე წლის წინად, მან ასეთი წინადადება მისცა თავად-აზნაურობას: მე მზათა ვარ ჩემი ოძისის მამული ვაჩუქო თავად-აზნაურობას; მაგრამ იმ პირობით კი, რომ მან აქ გამართოს უსათუოდ საშუალო სამეურნეო სასწავლებელიო. თავად-აზნაურობამ საქმე გამოიკვლია და აღმოჩნდა შემდეგი: ოძისის მამულის შემოსავალი წელიწადში ვერ აღემატება სამასს თუმანს; საშუალო სამეურნეო სასწავლებელი მოითხოვს 80,000 მანეთსა და მოსაწყობად ერთხანად 100,000 მანეთსა. ამის შემდეგ თავად-აზნაურობამ უპასუხა: ჯერ-ჯერობით გავხსნით დაბალ სამეურნეო სასწავლებელს, რომე-

ლიც წელიწადში მოითხოვს 10,000 მანეთს. ხოლო შემდეგში, თუ შეძლება გვექნება, დიდსა აზნაურობით გადავაკეთებთ საშუალო სასწავლებელსა.

ჩვენმა დიდებულმა ეს საშინლათ იწყინა: რა ჩემი საკადრისია პატარა სამეურნეო სასწავლებელიო. ჩემი დიდი სახელი დიდ საქმეს უნდა შეუღლისხლხორცდესო.

— თქვენი დიდი სახელი დიდს სასწავლებელს თქვენ თვითონ შეუსისხლხორცეთო, - უპასუხეს ჩვენს საოცარ ქველ-მოქმედს და უარი უთხრეს საჩუქრის მიღებაზე. ჩვენი დიდებული საშინლათ განრისხდა ასეთს უმადურობაზე და თავისი ოძისის მამული ფეშქაშად მიართვა სამინისტროს ყოველივე პირობის გარეშე. სამინისტრომ ჩინებულათ ისარგებლა ამ უპირობობით: ოძისის მამული დიდ რუსულ ბოსტნად გადააქცია და დღეს იქ ცხრა გლეხ-კაცი მუშაობს და მეურნეობას „სწავლობს“, მაგრამ ვაი ამ გვარ სწავლას. დიად, ძეგლი, ძეგლი ჩვენს დიდებულ ქველ მოქმედს!..

ძველი ხუმარა.

შესანიშნავი სურათები.

შესანიშნავი ქანდაკებანი.




კაინი, იმსებ მაგრას ქანდაკება.



კმაყოფილი ხარ, ღვთის ქმნილებაგ? ტერკუზა რისის ქანდაკება.






საღატეობა სიზმარში.

ჰელსინკის ნახატი.

თავისუფალ გაზეთების [სავანე.



ახალ წელს ხელის მაწონა მიიღებს მეტეხის ცისეში.

ახალი მბრქანებელი.

რედაქტორო! ხომ უემპირდი—  
„რაც გინდა ის დასწერეო,  
გამოგზავნე, დაგბეჭდავ,  
ცენზურა მოვიშორეო!“

მაგრამ ვაგლახ!.. ვერ ვიცანი  
ლექსი, შენგან დაბეჭდილი,  
სიტყვის ნაცვლად თეთრ ქალღღებზე  
წინწყლებია დაწიწკნილი!..

შენი სიტყვა ქე შესვალე,  
აზრი მთლათ გამოიცვალე?

მწერ: „ვის გინდა მას შეეხე  
ტახტს, სამეფოს, მალღა ღმერთსო,  
წოდება გაათახსირე,  
ნუ დატოვებ თუნდ ნურც ერთსო“.


„მხოლოდ ერთი არ ახსენო  
ახლად მოვლენილ „ჯურიო“,  
მის შესახებ გააუქმე  
ენა, გრძნობა და ყურიო“.

„საშიშოა, არ გეგონოს,  
რომ იმ „ჯურმა“ დაგიმოსო  
ჩემს საბეჭდავს და შენს კლამს  
დაგვიმტერევეს და დაგვიმხვრევესო“!..

მეგონა, თვითმპყრობელობა  
ძლივს შეგემუსრე—მოვიშორე,  
მაგრამ მის ნაცვლად მეტიჩრობს  
ბრძანებელი სხვა—მეორე?!

თუ კი პირველს მოვერიე,  
სასტიკ ბრძოლით გავაგორე,  
ნუ თუ ეხლა დიქტატორად  
თავს დავისვა ეს... მეორე?!

თავდგირიძე.



**ქუთაისის თეატრის კასანთან.**

— ქალბატონო, გვიბოძეთ ბილეთი, პარტერი-მეორე რიგის.

— მე თქვენთვის „ქალბატონი“ არ გახლავარ...

— უკაცრავად!.. თქვენ არ ბრძანდებით კასირმა?

— კასირმა ვარ, მაგრამ... მე „კნენა“ ვახლავარ...

— ?!

**გესლიანი.**

**ა რ ხ ე ვ ნ ე ბ ი ს გ ა მ ო .**

(სენა ქუთაისის თეატრის წინ).

**სიკოია.** (მივს თეატრის წინ მდგომ ჩინოვნიკთან) დილა მშვიდობის, ბატონო!

**ჩინოვნიკი.** Что?

**სიკოია.** რუსი ხარ, ბატონო? ქართული არ იცი?

**ჩინოვნიკი.** Не знаю, что тебе надо?

**სიკოია.** „შტო ბატონო და ზღესუ ურილობა ბუდით.“

**ჩინოვ.** Что?

**სიკოია.** „ურილობა დავარით“.

**ჩინოვნი.** Тебе басни Крылова?

**სიკოია.** „შტოღა ურილობა და დუმტკი ურილობა, ადინ ხელაფეკუ პეტრესბრუს ზაშოლა!“

**ჩინოვნი.** Оставьте, пожалуйста! (გაიარს).

**სიკოია.** იმე, შენ ამოგივარდა ძირი? რუსია და რუსული ვერ გეივო!? (ამ დროს დაინახავს თეატრის მოსამსახურეს) უკაცრავათა ვარ, მარა ეს შენობა თრაქტია?

**თეატ. მოსამ.** ჭო, ტიატრია, რა გინდა?

**სიკოია.** ურილობა აქანა არაა დღეს?! ა!

**თეატ. მოსამს.** რის ურილობა?

**სიკოია.** რის და, უნდა ამოვიჩინოთ ამომჩეველები პეტრესბრუსში გასაგზან კანცია.

**თეატ. მოსამს.** ჭოო. კი აქანა, მარა ჯერ აღრეა.

**სიკოია.** ბეხა! აღრე რაგა, ჩვენ ბარე ოცი კაცი გათენებამდი შეშეკედით ქუთუის და ჩვენ ამდენი კი არ გვცაღია! (ამ დროს დაინახავს ნიკოიას) ნიკოია, ნიკოია, მადი აქეთ!

**ნიკოია.** (მივს) გამარჯობათ:

**თეატ. მოსამს.** გაგიმარჯობს...

**სიკოია.** ჯერ აღრეაო, აგერ ბრძანებს.

**ნიკოია.** მართლად?! რომელ საათზე იქნება ურილობა?

**თეატ. მოსამს.** თორმეტზე... ვის იჩევეთ ახლა თქვენ დუმში გასაგზანათ?

**ნიკოია.** დუმში?!...

**სიკოია.** ვაი, იმას გოუხმეს ის დუმი, ვინცხამ ის დუმი შეიგონა?..

**თეატ. მოსამს.** რაგა, ბეხა?

**სიკოია.** რაგა და ისე, ახა რა, ჩვენ რა გვეშეკვება და!

**ნიკოია.** გაუგონია კაცს წელიწადში ორჯერ და სამსაჯერ არჩევა?!  
**ნიკოია.** რა და მიშაგაგა? რა და მიშაგაგა? (თანდათან გული მოსდის).

**თეატ. მოსამს.** რას იზამ! ისეთი უნდა აიჩინოთ საქმე კარგათ წეიფანსო.

**სიკოია.** ახა, ბოძა, ვინც ავიჩინოთ კარგი და გავგზავნეთ, თლათ ოურია იქინა ეველსაფერი და აქეთ აღარ გამოუშევენ. კი ატუციეს თავი ციხეში და ახლა რაც გლანსა ის უნდა გავაგზავნოთ, ქე მანინ სულ გახუმდება და იქნება სხეებმა მანინ გააკეთონ საქმე.

**ნიკოია.** რას ამბობ შენ?! გინდა გლანს გავგზავნე, გინდა კაი, სულ ერთია—ხმას მანინ არ ამოადებოებენ და!

**თეატ. მოსამს.** ვინმე კარგი დემოკრატი ამოიჩინოთ.

**ნიკოია.** რას! დემოკრატიი? მეტი არ ოუდგა იმეგნს გვერდება.

**თეატ. მოსამს.** რატო, ბეხა, რა დავიშავეს?

**ნიკოია.** რა დავიშავეს? რა დავიშავეს? (თანდათან გული მოსდის).

**სიკოია.** რა გული მოგდის, ბეხა, ვინც გინდა ის ეიჩინე, კენჭს მოგტევენ ხელში და სადაც გინდა, იქინა დღეზე.

**ნიკოია.** ის მე ვიცო, საცდა ვდღეზავ...

**სიკოია.** ვაი ბეხა, ნეტა რაც ჩვენში დემოკრატიბა სულ ეველა ერთათ ამომარჩევა პეტრესბრუსში გასაგზანათ.

**თეატ. მოსამს.** სულ ეველა რათ გინდა?

**სიკოია.** რათ მინდა?!... რათ მინდა და აქეთ აღარ დააბრუნებენ და იუონ იქინა...

**თეატ. მოსამს.** ახა, ვინ უნდა ეიჩინოთ?

**ნიკოია.** ის ჩვენ ვინცთ ვინცხას ევიჩევეთ! მეორე დუმში იმისთანა კაცი გავგზავნეთ ერთი, რომ არც აქ იღებდა ხმას და არც აქ! რანაირათ წამევიდა არაფერი არ ვიცით, ჩვენ საქმიონა გავგზავნეთ და იმან ერთი წამეიდას თურმე, მეგრელებს სიმინდი არა აქეთ, ამდენმა განათლებულმა ხადხმა თურმე გეიჩინა და დეიდასეს: „ზორუსკი ნე ხორაშო დოფორით, სადის ზოფოლუსტაო“ და ის იუო და ის, იმის მერე ხმა არ ამოუღია.

**სიკოია.** ხმა რაგა არ ამოუღია, შე კაცო, ჩვენი მეზობლის შვილი შილატე იუო პეტრესბრუსში და იმან ჩამეიტანა ამბავი, რომ სულ უფვიროდაო, რომეო არ გვიბდაო.

**ნიკოია.** რა არ გვიბდაო?

**სიკოია.** რა და ეს მინისტრები არგვიბდაო, ის მინისტრები არ გვიბდაო, თელი ქვეყანა ჩვენი უნდა იუონსო.

**ნიკოია.** ვაი, შენს პატრონსოქვა, უთხარი, ვინ მოქცემს შენ თელ ქვეყანასოქვა (მიუბრუნდება თეატრის მოსამსახურეს) ა, ბატონო მადი და ელანარაგე ახლა იმას.

**თეატ. მოსამს.** ასეც არ იქნებოდა, შე კაცო! (ამ დროს ჩინოვნიკი მივს).

**ჩინოვნიკი.** (თეატრის მისამსახურეს) Скажите, пожалуйста, что такое сегодня в театре?

**თეატრ. მოსამს.** „სეფდინია ლუდი ვიბირაით დასუდასტეენა ღუმა ათხრავლიაით“.

**ჩინოვნიკი.** Ах—да!.. Значит, выборы, интересно посмотреть!.. (გაიარს).

**სიკოია.** რა მინდა?

**თეატრ. მოსამს.** არაფერი, დღეს რა იქნება თეატრშია.

**სიკოია.** აი, ბეზა, რაფა ეველას ეინტერესება. მოდი ახლა შენ და გავსანე გლანს კაცი.

**სიკოია.** (ახედ-დახედავს თეატრს) აქანს ახლა ყოველ დამე კამენდიანიკები ადგენენ?? ა!!

**თეატრ. მოსამს.** ხან კამენდიანიკები, ხან თხერას ხან დრამა, ხან ფოკუსები, ხან ცირკია შიგ.

**სიკოია.** ვაი, ჩვენი ცოდვა! იმიტომაც ჩვენი გაგზავნილი კაცი აღარ ვარკა, ამისთანა სამსახრო ადგილს რამ ვარჩევთ.

**თეატრ. მოსამს.** (ცოტა წყენით) რაგორ თუ სამსახრო, რას ამბობს!

**სიკოია.** ამა, რა! მართალია შე უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ ქე ვიცი თრიატი რა არის. აქანს მარტო წარმოდგენები უნდა იყოს, თვარა ცირკია და თრიატი გამოვინა?

**თეატრ. მოსამს.** თუ კი ქალაქში ცირკის შენობა არაა, აბა რა უნდა ქანს. მერე კიდევ შემოსავალიც აქ თეატრს.

**სიკოია.** ვაი, ბეზა, შენმა შტერმა სთქვა მავისთან სიტყვა, შემოსავალი აქვსთქვა და ამა, შემოაფუანეთ არდნები და ახრეწინებიეთ! რაფა გეკადრება მაგი?!

**სიკოია.** შე თფილისის ქალაქში თრიატი ვნახე, იქინს კამენდიანიკებს შოუშობენ? აი?

**თეატრ. მოსამს.** ასე კია და! (ამ დროს ხელნი იკრებიება თეატრთან).

**სიკოია.** ე! მოდიან, მადლობა დმერთს.

**თეატრ. მოსამს.** მიბრძნდით თეატრში, დაბრძნდით და აწი მალე დაიწეება. (მიდის).

**სიკოია.** ე! წვევადეთ ნიკოია! (ჩუმად) შენ რა მელში დღუზავ შავ კენჭს?

**სიკოია.** ის შე ვიცი...

**სიკოია.** მათხარი, შე კაცო, და სანსა შენ დღუზავ, მეც იქინს ვდღუზავ, რა შენადგუება!

**დესტენიკი.** (მივა იმთან) ან შედით, ან გაიარეთ იქით, თორემ მეც მისთანს ვდღუზავ, რამ სულ ვაიშე დედაჯანს გავიადეთ.

**სიკოია.** შევიადეთ, ძმაო, თორემ ქე დავგზავრეტავს ეს წაწეშენდილი.

**სიკოია.** მოდი ეს ამევიარჩიეთ ღუმაში გასავსავნათ; ამას არც დეიჭირავენ და ბრძანებაც ცოდნია დემოკრატებივით.

**ნიკოია.** (მიდის) წამოდი, წამოდი, ბოშა, განცხადებებს ჩვენთვის სულ ერთია, ჩვენ საშეგლი მანდას დაგვადგებს, ვიფავით გაძაღლებული და ახლანდელი მანდას განცხადებებს. კინდ ბიუროკრატია, კინდ დემოკრატია! ეველასი სათელელი ღუმა ჩვენს ვართ! (შეველენ თეატრში).

ქუთაისელი „ჩორთი“



ჩვენებურ მოდერისტიკის ავტობიოგრაფია.

თუმცა ადამიანის სახე მაქვს, მაგრამ ხარისავით რქები მამია და ნამდვილი პირუტყვი ვახლავართ. ჩემი ბედი წალის ტყავითა და საჩექმე ლურსმებითა მაქვს კარგად გამოქვილილი და ამის წყალობით მუცელს ღიბი მიმშვენებს და ჯიბეს — გამოტენილი ქისა. ოქრო მიყვარს და მამიჩემის ძვლებსაც არ დავინდობ ვასასყიდად, ოღონდ-კი ოქრო მოვიმონაგრო. ეროვნება არა მწამს ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებსავით (ეშმაკმა წაიღოს იმითი თავი, ერთ დროს რამდენჯერმე მეც ფული ამათეცქენეს)! დიახ, ოქროს კერბთ თაყვანისმცემელი ვახლავართ და კიდევ ამიტომ ჩვენის ქალაქის ვაჭარ-სოფლადგრებმა ოქროს ტომრის დარაჯად და ბჭედ ამომირჩიეს. წარმოიდგინეთ, მე და ვაჭარ-სოფლადგართა ფულის სალაროს ერთი გამგეთაგანი! ჩემი ასეთი აღმატება იმისი საბუთია, რომ ზოგჯერ გაიძვერაობა და მლიქვნელობა უტვინო კაცსაც-კი ფონს გაიყვანს. ქუა და ნიჭი პაწიაც-კი ღმერთმა დამამწყურალა, დიდი-კი ხულიგანობად მიმაჩნია. ერთი ზნე მქირს: მოყვარეს ზურგს უკან მოვექცევი ხოლმე, რადგან ჩემის სამარცხვინო საქციელის გამო ვერიდები იმის თვალებს. კაცი ხარ და კაცთან დაიჭირე საქმეო, გამიგონია, და მეც ასე ვიქცევი. ძირს ქვემოდგან უნდა გამოთხრა, თორემ ზემოდგან თხრით ძირამდე ძნელად ჩააწევს კაცი. ეს ვახლავთ ჩემი მცნება: ოქრო და ძირი სათხრელი! დანარჩენი, და მასთან ერთად ქართველი და საქართველოც, მეწყერსაც წაუღია!

ან-ხა-ხა-ხა.

უებარი საშუალება კლასიდან კლასში გადასავლელად.



წინეთ ცოდნას... ახლა ფისტის შევირდები გაჭყავს კლასში,  
ზორტანტურის ამი ასტყდა შეცნიერების ტაძარში!



**სულიგანების მარსელიოზა.**

ეს ლექსი რუსულათ თქმული,  
ავტორათ კრუშევანები  
ვპოვე, ქართულათ ბადმფრთქვი  
საქმე ვქენ საქოქმანები.

„ნამდვილნო რუსნო“, შემოკრბით,  
დღე დაგვიდგა დიდებისა,  
თოფ-იარაღი აისხით,  
დრო არი აოხრებისა!  
დუქნებში არის არაყი  
ის ყელს ჩავვიწმენდს გმირებსა,  
ეს არის ჩვენი ხატება,—  
გადავცეთ შვილი-შვილებსა.  
აბა, ძმებო, თამამათ!  
არ შედრკეთ!  
ვსვათ და ვსვათ!

დროშას გვიკურთხებს ანტონი,  
წინ გაგვიძღვება ღუმბაძე,  
ის მონათლული „ჟილია“,  
ახლა მოსულა ჭკუაზე!  
ვკრათ თოფი ებრაელებსა,  
ინოროდცებსა, სტუდენტებს,  
კრამოლნიკ-მოლაღატეებს,  
ჩვენზედა ამხედრებულებს.

აბა, ძმებო, თამამათ!  
არ შედრკეთ!  
ვსვათ, შევსვათ!  
ვერ დაგვიჭერენ ციხეში,  
ჩვენია პოლიციაო,  
ოდესა-ვარშავისათვის  
თავზარი დაგვიციაო!  
ღმერთო, გვიცოცხლე ღებროვინ,  
პურიშკევიჩიც მასთანა!  
„ნამდვილნო რუსნო“, ბოჩკასთან  
შემოკრბია, როგორც ძმასთანა!  
აბა, ძმებო, თამამათ!  
არ შედრკეთ!  
ვსვათ და ვსვათ!

რიგოლეტო.

**ებდა-ასაღები წებლ-წასაღები.**

**ახალი ჟურნალი.** როგორც შევიტყეო, ბ-ნი  
ეშმაკი აპირობს გამოსცეს ახალი ჟურნალი „ვირის  
წიხლი“. პირველი ადგილი თანამშრომელთა შო-  
რის უჭირავს ყარაბაღელ კორესპონდენტს თავ-  
დიდყუროვანს, რომელსაც ზედ-მიწევნით აქვს  
შესწავლილი ვირების ცხოვრება და საუცხოვოთ

შეუძლიან მათის ქირ-ვარამისა და სულის-მდგომარეობის გადმოცემა. თ-დ დიდყუროვანს განზრახვა აქვს აგრეთვე დაარსოს ყარაბაღში ადგილობრივი კლუბი, სადაც წაუკითხავს ლექციებს პოლიტიკაზე. ლექციების შინაარსს მიაწვდის „ვირის წიხლის“ რედაქციას. კარგი იქნება თავის წერილებს რაიმე სხვა ფსევდონიმით რომ გამოუშვებდეს, თორემ რა საჭიროა რომ თავის ნამდვილ გვარს „დიდყუროვანს“ აწერს. ვუსურვებთ თ-დ დიდყუროვანს და მის ამხანაგ ვირებს წინსვლას და პოლიტიკურათ მომწიფებას.

**წესიერების დამცველნი.** ტფილისის საშუალო სკოლების ზოგიერთ მოწაფეთ ჰქონიათ კრება და დაუდგენიათ შემდეგი: ვინაიდან ქართულ თეატრში მოსიარულე სიზოგადოება უწყსობას ჩადის იმით, რომ შუა მოქმედების დროს გვაყენებენ ადგილებიდან და წარმოდგენის მოსმენას გვიშლიან, საჭიროა მივიღოთ შემდეგი ზომები, წესიერების დასაცველად: 1, წარმოდგენის დაწყებამდე, ნახევარ საათით წინ, დავაყენოთ კასასთან 30 მოწაფემდე, რომ აღარავინ მიუშვან ბილეთის ასაღებად; 2, თარღის აწვეამდე საჭიროა დავიჭიროთ პირველი ოთხი რიგი პარტერში, რომ თვალყური ვადევნოთ მთელს საზოგადოებას; 3, მოვთხოვოთ კონტროლს, რომ მტკიცეთ დაიცვას ხელშეუხებლობის პრინციპი; 4, ყველას უნდა გვქონდეს ქუდები, სცენაზე სასროლად; 5, შევადგინოთ ტაშის დამკვრელთა ორკესტრი ლეკურის და ბალდადურის დასაკვრელად და სხვა. როგორც ვაღმოგვეცეს, ზოგიერთ „გემნაზისტებსაც“ გამოუცხადებიათ სურვილი ამ წრეში შესვლისა.

**ქართულ თეატრის შენობის ბიულეტენი.** ამ სამის წლის წინედ ავით გამხდარ, ქართულ თეატრის შენობის მდგომარეობა, ამ წლის მაისში გაკეთებულ ოპერაციის შემდეგ, ექიმ გ. დ. გაბაშვილის სიტყვით, ეხლა ცოტა უკეთ არის. მაჯის ცემა ჯერ კიდევ დუნე ჰქონია. „სიდეღა“ დ. ქავჭავაძე, თურმე, ძალიან მუყაითათ უფლის ამ დიდი ხნის ავითმყოფს და, შესაძლოა, რომ დამდეგ წელს ამ დროს ფეხზე წამოდგეს და ჩვეულებრივი მასპინძლობა გაუწიოს ქართულ ხელოვნებასა.

სოსიკო.

**არუთინას და ღარჩუას დეპუტატი.**

- არუთინ, მაშ უნდა ამოირჩიო, რაღა?
- რა უნდა ამოვირჩიო ღარჩო-ჯან?
- დეპუტატი „დუმისათვის“!
- დეპუტატი? მერე იმან რა უნდა ქნას?
- თვალყური უნდა ადევნოს, რომ ფულები არავინ მოიპაროს.

- მაშ თითონ უნდა მოიპაროს, ჰა?
- არა, არუთინ, თითონ არ მოიპაროს.
- ვა, ახმან, მაშ ვირი უნდა გავუწავლოთ ანუ ჩემო ძმავე, სჯობს ისევ ნურავის გავუზავნით.



დრამატული სელოვნება.

**ექიმთან**

ვადევილი ერთ მოქმედებათ.

ივ. გომართელია.

**ექიმი.** (ამშვიდავს ჩისტანს) დაწყნარდით, დაწყნარდით; როგორ გეკადრებათ ჩხუბი? ვინმე რომ გაიგოს, დაგძრახვენ. გამოსულელებულ ბებერს მეც როგორ უნდა მიაქცაოთ ყურადღება?


**ჩისტანი.** თქვე დალოცვილო, ადამიანის ცნობა არა გცოდნიათ. მაგისტანა უნამუსო რა სახლში შესაშვებია? (ქაღაშვილს) შენ რაღამ შევაშინა, შე საწყალო? ტყვილა აქვს შენს პატრონს შენი იმედი? (ექიმს) ეს შეილია ჩემი და ცოტა უღონოთა მყავს. გულის ძგერა აქვს, საკმელს არა სკამს, ხშირათ თავს იტკივებს და მინდა, რომ გულდაგულ გამისინჯოთ.

**ექიმი.** (ქაღაშვილთან მივს და მჯავსე ხელს მამკაიდებს) გათხოვებული ხართ?

**ჩისტანი.** გასათხოვარია, შეილო! ორასი თუმანი მზითევი გამოკრული მაქვს მაგისტვინ! (შვიდი დედს წერამის თვადით გადაჭყედავს) შენისთანა სიძე რომ მაშონია, დედა, მეტსაც მივცემ. (ქაღაშვიდი დედს გადაჭყედავს წერამით).

**ექიმი.** დედი, ტანისამოსი შეიხსენით და გნახავთ. (გამბრუნდება სცენისაკენ) ეს ნამდვილათ ცოლათ შემომადღეს თავის ქალიშვილს (თავს ჩაქნევს და ფანჯარასთან მივს).

**ჩისტანი.** (შვილს ტანისამოსს ქსდის) ჰო, შეილო, სულ უნდა გაიხადო, რომ ექიმმა კარგათ გავსინჯოს.



**ქალიშვილი.** (შუახშით უკმაყოფილო) რა ახირებული ხარ, დედაჩემო? რა უნდა გავიხადო, როცა არასფერი არა მტკივა? არც გული მიძგერს, არც თავის ტკივილი ვიცი და მაღაც ძალიან ქარგი მაქვს!

**ჩიხტიანი.** (მუშტს უღარებს) ჩუ, შე სულელო, შენა! მაშ სახლში გინდა, რომ დამეფადე? ქვეყანა ასე შერება. მაშეიკოს ქალს არასფერი არა ტკივა, მარა კვირეში სამჯერ დადის ამასთან და თავს ასინჯვიებს. შენ რალა იმაზე ნაკლები ხარ! (უხსნის ზედატანს: კარსეთს, ლიფს და კოფთას, უკვლას განდის და ზერანგის ამანა დატოვებს. ზერანგის განდის უზინბოს, მანამ ქალიშვილი ეწინააღმდეგება).

**ქალიშვილი.** დედა, რომ მამკლა, პერანგს არ გავიხდი, არ გავიხდი, არა!

**ჩიხტიანი.** გაჩუმდი, შე ღმერთ გამწყრალო! ნეტავი მოეწონებოდე და პერანგს კი არა სულ გაგატიტვლებ! (უზინებს ზერანგის განდის, ქალი ეწინააღმდეგება. ამ დროს ექიმი მობრუნდება).

**ექიმი.** თქვენ გავიხდიათ კიდეც?

**ჩიხტიანი.** პერანგიც რომ გავიხადოს, უკეთესია. სუსტი გული აქ და უფრო შეატყობთ.

**ექიმი.** პერანგის გახდა საჭირო არ არის. ისეც შეეცემა ყველაფერი. (ექიმი დაუსინჯავს გულს, გვერდებს, ზურგს. შემდეგ ღოგინზე დაწვეკნს და მუცელს უსინჯავს ზერანგს განდის) ხომ არ გაცივდათ ხოლმე!

**ჩიხტიანი.** ბოვშეობაში კი და, მერე აღარ გაუცივებინ. (დასინჯვის დროს ჩიხტიანი ექიმის უკანა დგას და რამდენჯერმე ოდნავ ხელებს მადლა ადაზერებს და აისედავს, თითქმის ღმერთს ევედრება).

**ექიმი.** (გამოტრიალდება) შეგიძლიანთ ჩაიცვათ. (ქალი ადგება და იცვამს. ექიმი რეცეპტს სწერს. შემდეგ ადგება რეცეპტს მუცლის) აი, ეს წამლები გამოიტანეთ და იხმარეთ, როგორც ზედ ეწერება. სრულებით კარგათ გახდებით. ცოტა სისხლი გაკლიათ, თორემ სხვა არაფერი გაქვთ.

**ჩიხტიანი.** როდის მოვიყვანო კიდეც თქვენთან? (ფულს სდებს მაგიდაზე).

**ექიმი.** მე მგონია, აღარც კი იქნება საჭირო; კარგათ გახდება.

**ჩიხტიანი.** არა, შენ გენაცვალე! ყოველ მესამე დღეს უნდა გაჩვენოთ ხოლმე. (ღიმილით) სანამ არ მომიჩინებ, ვერ მოგეშვებით. (ხელს ათმუჯუნ ექიმს) იმედი მაქვს, რომ ჩვენს ოჯახს გაიცნობთ. მაგრამ საკუთრათ უნდა დაგპატიოთ (გადას. კარებიდან კიდეც თავს უკანაშენ, ექიმიც თავს უკანაშენ და უკან გამოტრიალდება. ამ დროს შემოვა გულმისუღი სისხით, ქუდი, ხატოთი, ჯოხით და ორი დიდი შუშა წამლით ხელში მისუღი ზოლკოვნიკი).

**ექიმი.** (მოტრიალდება რომ დაინახავს) თქვენ აკი ბრძანდებოდით დღეს ჩემთან?

**პოლკოვნიკი.** (ასველებს) დიახ, ვბრძანდებოდით! (ასველებს) თქვენ მე რა გამომიწერეთ? ჰა?

**ექიმი.** (შუშებს ათმუჯუნს, რეცეპტს და უკანაშენს) წამლები კარგათ არის მომზადებული; რაც მე გამოგიწერეთ, სწორეთ ის მოუციათ.

**პოლკოვნიკი.** (გულმისუღობა ემტება, კანკასლებს) მაშ თქვენ ეს გამომიწერეთ? რასი წამლია ეს?

**ექიმი.** (ცოტა გულმისუღი) რა სატიკვირც თქვენა გაქვთ, იმისი წამალიც ეგ არის.

**პოლკოვნიკი.** მაშ, მე ქლეკი მქირს? ქლეკის წამალს მიწერთ? ჰა? ბუასილი კაცს მალჩობს და ქლეკის წამალს მასმევ? (გაუშლის ერთ შუშას და ესვრის. ექიმს ასცდება, კედელს მხვდება და დაიშხვრება. შეფრეს ესვრის, ისიც ასცდება. შემდეგ ჯოხით გამოუდგება და თან უყვირის) მაშ მე ქლეკი მქირს? ქლეკი? (ორჯერ დაატრეკოს ჯოხს და ექიმი კარებში გავარდება) ქლეკის წამალს მიწერს! ასე ჰგონია, თუ ვერ მივხვდებით! აფთეკართან აქვს პირობა შეკრული, ყველას ძვირი წამალი გამოგუწეროვო და ჩვენ კი გვატყუებს, გვატყავებს. (ასველებს) **МОШЕННИКЪ! РАЗБОЙНИКЪ! ШАРЛАТАНЪ!** (შუშებს გადმეჭურის ჯოხით მაგიდიდან ხმაურობაზე იასონი შემოვა).

**იასონი.** როგორ გეკადრებათ, ბატონო, როგორ გეკადრებათ! მანჯურია კი არ არი აქნა.

**პოლკოვნიკი.** (ჯოხით გამოუდგება). დაიკარგე შე, მამაძაღლო! (იასონი კარებში გავარდება, ზოლკოვნიკი უკან განხეუება. სტენა ცარიელია. სტენის გარეთ ცოტა ხანს ხმაურობას, შემდეგ თან და თან სიწყინარე ჩამოვარდება. შემოვა ექიმი, კარებს გაადებს).

**ექიმი.** იასონ! იასონ! იასონ! (ექიმი გამობრუნდება და მალე შემოვა იასონი).

**იასონი.** რას მიბრძანებთ, ბატონო?

**ექიმი.** შეჭკარი ბარგი! ამაღამვე უნდა წავიდეთ აქედან!

**იასონი.** (გაცეკბული) ამაზე უკეთეს ალაგს წავალთ, ბატონო?

**ექიმი.** შენი საქმე არ არის. ამაღამვე უნდა წავიდეთ, გესმის? (გამობრუნდება).

**იასონი.** (თავისთვის) ჰირი მამქამე! (ექიმს) წვედიდეთ, ბატონო, მარა ასე უცვბ ბარგის შეკვრას ვერ მოვასწრებ.

**ექიმი.** მოასწრებ, თუ ვერ მოასწრებ, ეგ ჩემი საქმე არ არის. ამაღამვე უნდა წავიდეთ აქედან! (გადას).

**იასონი.** (გაკვირვებული) ეე, ამდენ გადარეულებში ე ჩვენი დოხტურიც გედირია ნამდვილათ! საცა უნდა იქ წვედიდეს. კისერიც უტეხია! მაგი იქნება ტრაპიზონში აპირებს გადავარდნას და მე რომ მაგას ვსდიო ასე უკან, ჩემი კატია სხვებს დოვუტოვო აქანა საპროშტავათ?! რაე გეკადრება! (ხელს გააქნევს) ნიბრიწ! მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი და რავარლაც წავა ეგ ამელამ, ამასაც დეეინახამ.

(ფარდა).




† **ჟოლანდრა ხუციშვილი.**  
(ხეგრადლეგი)

თერანიდან სამწუხარო დეკემბო მოვიდა: იქ უკრად ბარდაიკვალა საქართველოდან ფერეიდანში მიმავალი, სპარსეთის ქართველი, ყოლამრეზა ხუციშვილი, რომელიც ონიკაშვილთან ერთად იანვარში ჩამოვიდა ჩვენს სამშობლოში, რომ ენახათ თავიანთი ძველი სამშობლო ქვეყანა და ქართველები. თერანში ისინი უცდიდნენ ბარბს და შემდეგ უნდა წასულიყვნენ თავიანთ სოფელ—მარტყოფში, ისპაჰანის მახლობლად. თერანიდან რამდენიმე წერილიც მოგვივიდა ბნის ონიკაშვილისაგან, რომელიც იწერებოდა ხუციშვილის ავადმყოფობის ამბავსაც, მაგრამ არც ისე საშიში ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო.

მკითხველებმა იციან, რომ ონიკაშვილმა და ხუციშვილმა ჩამოსვლისთანავე ძრიელ მალე შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა. იმათ გადაიკითხეს თითქმის ყველა ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოები, გაიკნეს კარგათ ძველი სამშობლო ქვეყანა; ბაიანეს აქაურ ქართველებსაც თავიანთი მოქმენი, შავს დროს დატყვევებულნი, შაჰაბაზის მიერ გაღასახლებულნი და დღეს შუაგულ სპარსეთში ქართველადვე დარჩენილები. როდესაც ორნივენი მოემზადნენ ისე, რომ თვითონვე დარწმუნებულნი იყვნენ—ესლა კი შეგვიძლიან სპარსეთის ქართველებში ქართული მწიგნობრობა, წერა-კითხვა გავავრცელოთ და ბევრი ახალი აზრები შევიტანოთ იმათ ცხოვრებაში, თვენახევრის წინა, ბავშვზავრუნენ სპარსეთისაკენ, მაგრამ ერთს მათგანს ყოლამრეზა ხუციშვილს, უმტუნა ბედმა და არ დასცალდა ჩასულიყო ფერეიდანში, გადაეცა იქაურის ქართველებისათვის თავისი გულის-ნადები და გულითადი სალამიც ჩვენგან. მეორეს, ონიკაშვილს კი იმავე შავმა ბედმა მოაშორა საუკეთესო ამხანაგი და თანამოაზრე და დასტავა იგი მარტოდ-მარტო ბრძოლის ველზე.

სამწუხაროა ხუციშვილის უდროოდ გარდაცვალება, რადგან იგი, როგორც გონიერი, მშვიდი, უწყინარი, დიხჯი და მოფიქრებული ყმაწვილი კაცი, ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა და ონიკაშვილთან ერთად დიდს იმედს იძლეოდა სპარსეთისა და აქაურ ქართველების გაერთიანების საქმეში. ხუციშვილი და ონიკაშვილი იყვნენ პირველი მოციქულნი—ძმობისა და ერთობის მქადაგებელი ჩვენსა და სპარსეთის ქართველებს შორის და ამიტომაც დიდათ სამწუხაროა, რომ ამ მოციქულს უდროვით საუკუნით ჩამოშორდა ერთის აზრით გამსჭვალული ამხანაგი და მეგობარი. სიუკუნოდ იყოს, ძვირფასო მეგობარო, ყოლამრეზ, შენი ხეუნება. არ დამავიწყდება, აკსტაფაში გამოთხოვების დროს,

თვალცრემლიანი შენი სიტყვები: „მასწავლებლო, გვზოდებიო!“ და ან რას წარმოვიდგენდი, რომ ეს იქნებოდა უკანასკნელი შენი სიტყვები და დაპირებისამებრ რომანდონს კიდე ვერ შევხვდებოდით!



ლ. ბოცვაძე.




**ალექსანდრე მ. ჭყონია.**

ბუშინწინ საღამოს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, ტფილისში გარდაიცვალა ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონია.

ვინც ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორია იცის, მან ისიც კარბათ იცის, ვინ იყო ახლად გარდაცვალებული ჭყონია. კარგათ მომზადებული იურისტი და მკოდნე ჩვენის წარსულისა, ალექსანდრე ჭყონია, მე-70 წლების დასასრულიდან უკანასკნელ წლებამდე, მონაწილეობას იღებდა ქართულ მწერლობაში: იკვლევდა ჩვენის ქვეყნის ისტორიას და ამასთანავე იყო თანამედროვე პრესის მოღვაწეც. მე-90 წლების დასაწყისს, განსვენებული შეუდგა უფრო სისტემატიურ სალიტერატურო მოღვაწეობას, როგორც რედაქტორი ჟურნალ „მოამბისა“. ამ ჟურნალში განსვენებულს ეკუთვნის ბევრი „შინაური მიმოხილვა“ და სახელმძღვანელო პუბლიცისტური წერილები. ალ. ჭყონია მოწინავე ლიტერატურ აზრების მატარებელი და მქადაგებელი იყო, ამასთანავე დიდი მოსაზრე ქართველ ერის თავისუფლათ ცხოვრება-განვითარების იდეისა. შემდეგში, როცა ახალბაზდათა ერთმა ჯგუფმა „ცნ. ფურც.“ის რედაქციაში მიიღო მონაწილეობა, ალ. ჭყონია ამ განვითარების რედაქტორიც შეიქმნა; მაგრამ მალე აღმოჩნდა უთანხმოება და იდეური წინააღმდეგობა რედაქტორსა და თანამშრომლებს შორის უკანასკნელნი თან და თან მარცხნივ მიიწვედნენ და ბოლოს „ცნ. ფ.“-ლი ს.ფედერალისტების მიმართულების გამომხატველად გადაიქცა. ალ. ჭყონია, ერთგული ძველის წმინდა იდეალისთვის იღებდა, ახალს მიმართულებას არ გაჰყვა და ბაზეთს მალე თავი დაანება.

გარდა ლიტერატურისა ალ. ჭყონია ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებებშიაც იღებდა მონაწილეობას და აქაც იჩენდა მუყითობასა და გულ-მოდგინეობას...

ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთა და მოღვაწეთა ისედაც პატარა წრისთვის დიდი დანაკლისია ალ. ჭყონიას დაკარბვა. საუკუნით იყოს მისი ხსენება!



**ვლადიმერ მიქლაძე.**

25 ლენობისთვის, პეტერბურგში არის დანიშნული სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელთა კრება სახელმწიფო საბჭოს წევრების ამოსარჩევად. საქართველოს ამ კრებაზე ოთხი წარმომადგენელი ეყოლება: ორი თბილისისა და ორიც ქუთაისის გუბერნიიდან. ქუთაისის გუბერნიიდან არიან არჩეულნი: ანდრია მიხეილისძე ერისთავი და ვლადიმერ მიქლაძე. ვლადიმერ მიქლაძე, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, ერთხანს სამოსწავლო უწყებაში მსახურობდა. სამეურნეო ბანკის დაარსებისათავე ამ ბანკის დირექტორად იქმნა არჩეული. წელიწადნახევარია, რაც ამ ბანკისავე გამგეობის თავმჯდომარეა. ამ ოცის წლის წინანდ თბილისის საბჭოს ხმოსნად იყო არჩეული და დღესაც ხმოსნანია. 1905 წ. თებერვალში გამოქვეყნებულ იქმნა მანიფესტი, რომ რუსეთს სახალხო წარმომადგენლობა ბიუცემაო.



დედა და შვილი.

ეროვნული  
გაზეთი

რადგან მანიფესტში გარკვეული არ იყო, ახალი წყობილების უფლება ექნება თუ არა მონიჭებული განაპირა ქვეყნებს, თბილისის საბჭომ დეპუტაცია გაგზავნა მაშინ პეტერბურგში, რომ შეამდგომლობა ბაეწია, სადაც საჭიროება მოითხოვდა, კავკასია არ ყოფილიყო მოკლებული იმ უფლებას, რომელსაც მანიფესტის ძალით შიდა რუსეთი მოელოდა. ამ დეპუტაციის ერთ-ერთ წევრად არჩეული იყო ვ. მიქელაძე; შარშანაც ქუთაისის თავად აზნაურთა წარმომადგენელად იყო ის, სრულიად რუსეთის დავად-აზნაურთა კრებაზე, როცა ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

სტუდენტობის დროიდანვე იღებდა ვ. მიქელაძე მონაწილეობას ქართულსა და რუსულ მწერლობაში: იმისი წერილები იბეჭდებოდა „Новоросийский телеграф“-ში (Письма изъ Германіи), „Голосъ“-ში, „Обзоръ“-ში, „Тифлисескій Вѣстник“-ში, „Кавказъ“-ში, დავით ერისთავის რედაქტორობის დროს „დროებაში“, „ივერიაში“ და „Новое обозрѣніе“-ში. „ივერიაში“ იბეჭდებოდა მისი ფელეტონები „დავიწყებული მწერლის“ ფსევდონიმით, ხოლო „Новое Обозрѣніе“-ში (На досугѣ) „ვეტერანის“ ფსევდონიმით. ცალკე ბამოცემულია ზოგი მისი ნაწერები: Десять дней въ горахъ Дагестана, Три реформы, Вліяніе русскоі жизни на грузинскую жизнь и литературу, Народный кредитъ, Дома для бѣдныхъ და სხვა.

ვ. მიქელაძე ფრიად განვითარებული და დიდი ცოდნის პატრონია. მსოფლიო ისტორია და მწერლობა ზედმიწევნით აქვს შესწავლილი. ფიზიკური ჭკუა და საღი გონება ხელს უწყობენ მის მჭერმეტყველურ ნიჭს. არ არის ჩვენში არც ერთი სასარგებლო და საზოგადო დასაწყისი, რომელშიაც მონაწილეობა არ მიეღოს. ვლ. მიქელაძე, შედარებით, ახალგაზრდა კაცია და ჯანდონით სავსე. სიტყვა და კალიმი ერჩის და შრომის მოყვარული ადამიანია.



**თ. დავით ზაქარიაძე მელიქიშვილი.** ფრიად განვითარებული და გონიერი კაცია. დიდ ხანს მსახურებდა ადმინისტრაციის უმაღლეს წრეებში და კარგათ იცის ჩვენი ავ-კარგი. ყველას ახსოვს დ. მელიქიშვილის მარშლობის ხანა. ბუნებით ჭკვიანი, იგი გულმართალი და პირდაპირი კაცია. დ. მელიქიშვილმა, შეატყა რა, რომ თავად-აზნაურობის უმრავლესობა მოზარე არ იყო მისის აზრისა საქართველოს შინაურ საქმეთა მართვა-გამგეობაში, მარშობიდან დაუყოვნებლივ გადადგა. წელს მელიქიშვილი თავად-აზნაურთა მიერ არჩეულ იქნა ს. ხელმწიფო საბჭოს ერთი წევრის ამომრჩეველად ილია ჭავჭავაძის მამიერ.

**თ. გიორგი ალექსანდრესძე ბაგრატიონ-დავითი-შვილი.** შარშან ერთ ხმად იქნა არჩეული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლად და პირველსავე ნაბიჯიდან შესაფერის ღირსებით და ფიანობით შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. ყველას კარგად ახსოვს მისი ინციდენტი ტფილისის ყოფილ გუბერნატორთან—ფონ-რაუშთან, რომელიც, ბაგრატიონის სამართლიანის მოთხოვნით, სამსახურიდან გადაყენებულ იქნა.

თავ. გიორგი მეტად პატიოსანი, მიუღბომელი და თავმდაბალი კაცია, მუყაითი და დაუზარებელი მოღვაწეა. გულწრფელათ უყვარს ყოველივე ეროვნული საქმე, სიხარულით ეგებება ყოველივე კულტურულ დასაწყისს, ხოლო ქართულ მწერლობას და ხელოვნებას ყოველივე ძალ-ღონით ჰშველის და ხელს უწყობს. თ. ბაგრატიონი ჯერ შედარებით ახალგაზრდა კაცია და საზოგადოებას საფუძვლიანათ მოვლის მისგან ბევრს სიკეთეს, განსაკუთრებით იმ დიდ ძალ ფულების გონიერულს მოხმარებაში, რომელიც თავად-აზნაურობის განკარგულებაშია. თ. გიორგიც სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველად არის ერთხმად არჩეული და, —ადგილი შესაძლებელია, ილია ჭავჭავაძის ადგილი დაიჭიროს მან.

**შვილი.** დედა, რა უყავ შენ კარსენტი, წელს შესაბურა?  
**დედა.** მე როგორც განწევ, წავიკითხვეს შენც „ნიშადურს“.  
**ორივე ერთათ.** იფას წუქულა, დაუბრძავდეს დავი უყადა.  
რამ შეჩვენა, მოგვამონა კარსეტ-გუყადა!

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

# განცხადება.

ამ ნომერთან ერთად ეგზავნებათ ხელისმომწერთ  
**ნიშადურის** რეზინის  
კალომების განცხადება.  
ესხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ გაზეთის გამყიდველებს განცხადებას.